№ 734 სამშაბათი, 26 იანვარი. 1896—1899 სამშაბათი, 26 იანვარი № 734

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
გაზეთ „ცნობის ფურცელზე“
ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 28 იანვარს
ბენეფისი ს. პ. სვიმონიძისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან, ქ-ნ კ. ს. მესხის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნება
ახალი პიესა:
კონსტანტინე
ბატონიშვილი
ისტორიული დრამა 5 მოქ. თხზ. ა. ყაზბეგისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი სწორედ 8 საათზე
რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ძ. მესხი.

ქ. ქუთაისი
ექიმი
ნ. გ. ჭიჭინაძე
იღებს ავადმყოფებს
დილის 9—11 საათამდე
და საღამოს 4—6 საათ.
ღვნაშოვის ქუჩა პ. ხარაზოვის სახლი № 13.

ვატყობინებთ ჩვენი „კედლის კალენდრის“ გამყიდველებს, რომ უკეთუ ვისმეს დარჩა გაუყიდველი და ამ იანვარშიც დარჩებათ გაუყიდველი ფიქრობენ, დაუყოვნებლად გამოგვიგზავნონ, რომელიმე ჩვენს მაღაზიებში.
ამ. თავართქილაძეები. (10—6)

გამოვიდა და დაიბეჭდა ახალი ქართული წიგნი ცხოვრება ღირსისა დედისა
თეოდორასი
ალექსანდრიელისა
მეორე გამოცემა, მორჩილის რ ჟ-დენ ბარამძის მიერ.
წიგნს მშვენიერი სურათი აქვს დართული და შეიცავს 24 გვერდს.
ფასი ერთი შაური (10—3)

ნაფიცი ვექილის
თანაშემწე
თ. გრიგოლ ნიკ. დიასამიძე
მიიღებს ყოველ დღე დილის 8—10 საათამდე და საღამოს $4^1/_2$—$6^1/_2$-ადე.
მალაია სუდებნაია, № 4. ინჟინრის კრინიოვის სახლი. (5—2).

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ზ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## † კნეინა დარია ფალავა

გაზეთებმა გვაუწყეს ფრიად სამწუხარო ამბავი ამ თვის 22 გარდაცვლილა ქ. ქუთაისში თავის სახლში ყოვლად პატივცემული კნ. დარია მურზაყანის ასული ფალავა.

ჩვენი მკითხველები და საზოგადოდ ქართველი საზოგადოება უეჭველია კარგად იცნობდნენ კნეინა დარიას, ვითარცა იშვიათს გულკეთილ მოღვაწეს და ნიჭიერ ქალს. განსვენებული კნ. თუმცა ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზდა იყო, მაგრამ არც ერთ საზოგადო საქმეს არ აკლებდა თავის მადლიან ხელს. იმერეთში ამ უკანასკნელ ხუთიოდ წელიწადში არც ერთი საზოგადო ხასიათის საქმე არ დაწყებულა, რომ კნეინა დარიას გულმოდგინეთ მონაწილეობა არ მიეღო სიტყვით თუ საქმით და ხშირად კალმითაც.

კნ. დარიას ხანმოკლე მოღვაწეობა საზოგადო ასპარეზზე ნათლად მოწმობდა მის იშვიათ ნიჭს, ხალისს და საყვარულს, შრომასა და მეცადინეობას საქვეყნო კეთილდღეობისათვის. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ასე უდროვოდ მოწყვეტილო ამ წუთი-სოფლიდან ყოვლად პატიოსანო მუშაკო და სამაგალითო ქართველო ქალო!..

# ახალი ამბავი

—

*** სვ. სვიმონიძის ბენეფისი. ზეგ ქართულს თეატრში დანიშნულია საინტერესო წარმოდგენა. ბ. სვიმონიძე თავის საბენეფისოდ არდგენს ალექსანდრე ყაზბეგის ისტორიულ დრამას „კონსტანტინე ბატონიშვილს“. ეს პიესა ხუთმეტიოდე წელიწადია, რაც დაწერილია და საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა მის წარმოდგენას, მაგრამ დღემდე ნებართვა არ იყო აღებული. მთავარ როლებს პიესაში ასრულებენ ქ-ბნი ეფემია მესხი, კ. ყიფიანი, კოტე მესხი, თვით მობენეფისე და სხვანი.

ეჭვი არ არის ქართველი საზოგადოება სიამოვნებით დაესწრება ამ საინტერესო წარმოდგენას და ამის ნიშნები უკვე სჩანს—ეს სამი დღეა, რაც ბილეთები ძრიელ იყიდება.

*** „ვაი ჭკუისაგან“ ლექსად. ქ-ნ განდეგილს გადაუთარგმნია გრიბოედოვის პიესა „ვაი ჭკუისაგან“ ლექსად. თარგმანი, როგორც გვითხრეს, მშვენიერის ლექსით არის დაწერილი და იგი ძალიან დაახლოვებულია დედანთან. ამ თარგმანს ქართულს თეატრში, თურმე მალე წარმოადგენენ.

*** თანამდებობაში დამტკიცება. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ბათომის ქალაქის მოურავად ლ. ნ. ასათიანი, გამგეობის წევრად გ. ი. ვოლსკი და ქალაქის მდივნად ი. ს. მესხი.

*** სამეურნეო საზოგადოების განყოფილება. შავი ზღვის გუბერნიის მემამულეებმა სთხოვეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების

განყოფილების დაარსება ამ გუბერნიაში; ამის გამო აღნიშნულ საზოგადოების რჩევამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა ამ საქმის შესახებ შავი ზღვის გუბერნატორის წინაშე.

*** საეკკლესიო სიძველეთ-საცავის კომიტეტი. ტფილისის საეკკლესიო სიძველეთა-საცავის კომიტეტის თავმჯდომარედ საქართველოს ექსარხოსმა მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესმა ფლაბიანემ დანიშნა ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო კირიონი. 12 იანვარს კომიტეტის სხდომაზე არჩეულ იქმნენ კომიტეტის ახალ წევრებად: ქვაბთახევის მონასტრის წინამძღოლი არქიმანდრიტი დოსითეოსი, კავკასიაში მართლ-მადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა ინსპექტორი ე. ვ. მამინაიშვილი, საეპარქიო ზედამხედველები თ. ჟორდანია და მღვ. მ. კელენჯერიძე, ი. პ. როსტომაშვილი, თელავის სას. სასწავლებლის მასწავლებელი ვ. პარნოვი, დეკ. ღამბაშიძე, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი გ. ი. ჩოგოვაძე და სასულიერო სასწავლებლისა ი. თ. სანებლიძე და სხ. იმავე სხდომაზე დადგენილ იქმნა წარედგინოს საქართველოს ექსარხოსს ყურადღების მისაქცევად სიძველეთა-საცავის მმართველი მ. გ. ჯანაშვილი მისი მრავალ-სასარგებლო და ნაყოფიერი მოქმედებისათვის სიძველეთა-საცავის შესახებ.

*** განკარგულება გაზეთების მოამბეთა წინააღმდეგ. „კავ.“ ვკითხულობთ ადგილობრივი გაზეთების მოამბეებს 23 იანვარს, ქალაქის გამგეობაში წინ დახვდა მსახური და გარეშე პირთა თანადასწრებით ხმამაღლა გამოუცხადა: „ნაბრძანები გვაქვს ბატონო... გამგეობის კანცელარიაში შეუშვათო!“ ეს განკარგულება თურმე ქალაქის მოურავს მოუხდენია. ოფიციალურად ჯერ არ აუკრძალავთ გაზეთებისათვის ცნობების მიცემა. მოამბეთ „ნება აქვთ“ გამგეობის საკრებულო ოთახში შევიდნენ, სადაც მათ ქალაქის მღთვნისაგან შეუძლიანთ ცნობების მიღება, მაგრამ ამ უკანასკნელთ ხშირად გამგეობის სხდომებზე აქვს საქმე, და მოამბეებმა მაშინ ან კარებშეში უნდა იცადონ სხდომის გათავებამდე, ანდა წავიდნენ. გამგეობის საქმეთა მწარმოებელთან მიმართვა ცნობებისათვის, როგორც ეს უწინ ხდებოდა, ამ ჟამად არ შეიძლება. ცხადია, ეს „რეპრესიული“ ზომა საგანგებოდ „კავკაზის“ წინააღმდეგ მიუღიათ, რადგან „ნოვ. ობ.“-ის რედაქტორს თავისუფლად შეუძლია გამგეობაში შესვლა, როგორც საბჭოს ხმოსანს, ხოლო ბ. ხაჩატუროვი ძველი საბჭოს კაცია.

*** არჩევნების გაუქმება. „ჩერ. ვესტ.“ სწერს, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა პროტესტი განაცხადა ბათომის ქალაქის კომისიების წევრთა არჩევნების წინააღმდეგ და ამის გამო 25 იანვარს მოხდება ახალი არჩევნები ყველა კომისიის წევრებისა იმ წესით, როგორც გუბერნატორი და სენატის განმარტება მოითხოვს.

*** საშუადღეო ზარბაზანი. განზრახვა აქვთ ბათომში საშუადღეო ზარბაზანი დააწესონ.

*** შუშის მწარმოებელი საზოგადოება კავკასიაში. როგორც ისმის, ზოგიერთ პირთ განზრახვა აქვთ დააარსონ კავკასიაში შუშის მწარმოებელი სააქციონერო საზოგადოება. წესდება ასეთ საზოგადოებისა საქმის მოთავეთ უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ ფინანსთა სამინისტროში დასამტკიცებლად.

*** მამა-დავითის ბაღის გაშენება. უკვე დაასრულეს მამა-დავითის ბაღის გასაშენებლად მიწის დაყრა, ადგილის გასწორება და შეუდგნენ ხეხილების დარგვას.

*** **ს. დიდი-ზანა** (სამეგრელო). ყვავილ-ბატონება. კარგი ხანია, რაც აქ ყვავილი გაჩნდა და 'ეხლა მარტო ორ თუ სამ ალაგასაა. რადგან ეს გადამდები ავადმყოფობა ხშირად არ არის აქ, ამიტომ ეხლავე, ამ თავითვე საჭირო ზომებია მისაღები იმისი ძირიანად ამოსაფხვრელად, როგორც მაგ. ვაქსენატორის (ამცრელის) მოყვანა და ყვავილის აცრა. სანიტარული ზომების *) მიღება (სისუფთავე სახლებში და ეზოებში), დეზინფექციის მოხდენა ყოველგან. ე. ი. სადაც არის ყვავილი და სადაც არა იქაც. ჯერ-ჯერობით არავითარი ზომა არ არის მიღებული და ამისთვის აუცილებელი საჭიროებაა, რომ პოლიციამ ადგილობითი მაზრის უფროსს შეატყობინოს და მაზრის უფროსმა მიიღოს საჭირო განკარგულება ამცრელის და ექიმის გამოგზავნაში, თორემ ცუდ მდგომარეობაში ვართ ჩაცვივნულნი. ამ ყვავილ-ბატონებმა ამ დროებით ერთი კაცი იმსხვერპლა და დროა, რომ, ვისიც ჯერ არს სასტიკად შეებრძოლებოდეს ამ გადამდებ და მეტად საშიშარ ავადმყოფობას.

გურულ-მეგრელი

*) თუმცადა ჩვენ სოფელშიაც არიან ამორჩეულნი სანიტარულ მზრუნველებად რამოდენიმე პირნი, მაგრამ იმათ ჯერ თავის სახლების და ეზოებისათვისაც არაფერი უზრუნავთ. უკეთესი იქნებოდა, რომ მთავრობას ამ გვარ სანიტარულ მზრუნველებად ამოერჩიათ ნასწავლი პირები, რომელნიც ყოველ სოფელში მოიპოვებიან თითო ორ-ორი, თორემ ასა სოფლის უბრალო გლეხებს რა ზომები შეუძლიანთ მიიღონ. თითქმის ისიც არ იციან, თუ რა არის მათი დანიშნულება. აგტ.

*** **ს. ნაზოდელოუ** (სამეგრელო). სტატისტიკური ცნობები. 1898 წლის განმავლობაში დაიბადნენ 8 მდედრობითი სქესისა და 9 მამრობითის, სულ 17. ჯვარის წერა მოხდა 11, ე. ი. დაჯვირგვინდნენ 22 პირნი. დაიხოცნენ 7 მდედრობ. სქეს. და შვიდი მამრობითისა, სულ 14.

— სოფ ოჩხომური (სამეგრელო). ოჩხომურში 1898 წ. დაიბადნენ 13 (8 მდედ. და 5 მამ. სქესისა). დაქორწილდნენ 18 პირნი, ე. ი. ჯვარის წერა მოხდა 9. გარდაიცვალნენ 12 მამრ სქეს. და 8 მდედრობ. სქესისა, სულ 20.

— ს. მოიდანაკე (სამეგრელო). 1898 წლის გან. დაიბადნენ 9 მამ. სქესის და ოთხი დედათა სქესისა. (სულ 13.) ჯვარის წერა მოხდა 12, ე. ი. 24 პირზე. გარდაიცვალნენ 3 მამათა სქესისა და 2 დედათა სქესისა.

— ს. ზაახუთი (სამეგ.) დაიბადნენ 29 (13 მდედ. 16 მამ ) დაქორწ. 16 პირნი, ე. ი. ქორწინება მოხდა 8. გარდაიც. მამ. 18 და მდედ. 14, სრულიად 32.

— ს. ხანწკა (სამეგ.). დაიბადნენ 17 მამრ სქესისა და 16 მდედ. და სულ 33. დაქორ. 22 პირნი, ქორწინება 11. გარდაიც. 9 მამ. 6 მდედ. და სულ 15.

— ს. ლეგეჩსამე (სამეგ.). დაიბადნენ 8 მამ., მდედრ. 5, სულ 13. ჯვარის წერა მოხდა 7, ე. ი. 14 პირზე. გარდაიც. მამ. 2, მდედრობითი—8 და სულ 10.

— ს. საჭოდა (სამეგ.). დაიბადნენ მამ. 9, მდედ. 3, სულ 12. ქორწინება მოხდა 10, ე. ი. დაქორწილდნენ 20 პირნი. გარდაიცვალნენ მამ. 4, მდედ. 13, სულ 17 სულნი.

— ს. სჭოდა. (სამეგ.). დაიბადნენ მამ. სქესისა 8, მდედ. 15 და სულ 23. დაქორწ. 18 პირნი, შეუღლება მოხდა 9. გარ. მამ. 4, მდედ. 7 და სულ 11.

— ს- ლესიჭინე (სამეგ.). დაიბადნენ 47 (მამ. 33, მდედ. 14) დაქორწილდნენ 44 პირნი, ე. ი. ქორწინება მოხდა 22. გარდაიცვალნენ 9 მამ. 12 მდედ. და სულ 21 სული.

| დაიბადნენ: მამრ. | მდედრ. | დაქორწინდნენ: პირნი. | ქორწინება. | გარდაიცვალნენ: მამრ. | მდედრ. | დაიბადნენ სრულიად | გარდაიცვალნენ სრულიად |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | 14 | 28 | 14 | 9 | 10 | 35 | 19 |
| 19 | 20 | 24 | 12 | 11 | 9 | 39 | 20 |
| 5 | 3 | 6 | 3 | „ | 3 | 8 | 3 |

გურულ-მეგრელი

## ქართველები ციმბირში *)

—

ეხლა გადავალთ ქართველ[ების] რკინის გზაზე სამსახურზე.

ციმბირში რკინის გზის გა[ყვა]ნამ დიდი ცვლილება მოახდ[ინა,] უწინდელი ცხოვრება შეარყი[ა,] ახალი ხანა შეიტანა ციმბ[ირის] ცხოვრებაში. ამ გზის გაყ[ვანამ] ბევრი მუშა ხელი დაისაჭირ[ო]ა, აქ გაუთენდა გამოციმბ[ირე]ბულ ქართველებს აღდგომა. [რო]გორც მოსალოდნელი იყო, [ქარ]თველი რკინის გზის სამსახურ[ში] დახელოვნებული გამოდგა. ქარ[თვე]ლებმა კაი ხანია რკინის გზის [სა]მსახურში თავის სამშობლოში მო-ჩინეს ნიჭი და დიდი უნ[არი] ჩაიდინეს ჩვენში, მიუხედავათ [იმი]სა, რომ მას თავის ქვეყანაში, სამსახურისკენ, როგორც სხვა [სამსახუ]რისკენ, აგრე რიგათ არ აქვს გახსნილი ქართველის ნიჭი[ს ...] ნის გზის სამსახურში დიდი [...] ინჟინერებმა შეამჩნიეს, მით უ[მეტეს,] რომ ციმბირის გზაზე ბევრი ქართველთოში ნამსახური ინჟ[ინე]რია, რამდენიმე მათგანიც სა[ქარ]თველოს შვილია — ოთხი სო[...] და ერთი ქართველი. ესენი დახმარებას უწევენ თავიანთ [თანა]მეულეებს, სიამოვნებით აძლ[ევენ] სამსახურს, სამუშაოს და მა[თ] აწინაურებენ. სახელდობრ ქარ[თვე]ლები ემადლიერებიან ინჟინე[რებს] ბბ. ბუდაგოვს, ფრიდონოვს, [...] ჩაროვს, პუშეჩნიკოვს. (ეს უ[კა]სკნელი რუსია და საქართველ[ოში] იყო ინჟინრად, სურამის გვი[რაბის] გაყვანაში დიდ მონაწილე[ობას] იღებდა და ვგონებ პირველ ხა[ნებ]ში ბორჯომის გზის გაყვანაც ჰქონდა მინდობილი). ამას ძა[ლიან] ემადლიერებიან ქართველები. მარია გაიგოს ჩვენი ქართველ[ობამ] და უეჭველათ რამე საქმეს გვი[...]

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 733.

...სო ამიტომ მომეტებულ ნა-...ლს ქართველებისას მიუშურგ-...ათ სადაც ეს დიდად პატივცე-...ლი პუშეჩნიკოვია ინჟინერათ.

...თუ ცოტა რამე იცის აქ კაცმა ...ლიან კარგ ალაგს „შოვნის რკი-...ს გზაში. ერთმა მითხრა, პირვე-...ათ რომ მოველ ერთ მემამუ-...ესთან ვმსახურებდი თვეში მანე-...ად (ეს ზემოთაც გვქონდა მოყვა-...ლი), ციმბირის გზის მუშაობა, ...ომ დაიწყეს, იქ მივმართე ადგი-...ის საშოვნელად, წერა კითხვა ...ევისწავლე რუსულად და ეხლა ...მოც და ხუთ მანეთს ვიღებ თვე-...ოთ. ამისთანა მაგალითები აქ ბევ-...ია. ქართველებს ზოგს ობერ ...ანდუქტორობა უშოვნია, ზოგს ...ნდუქტორობა, — ა ის თაობა, ...ებლჩიკობა“, კანტროლჩიკო-...“, მუშათ უფროსობა და სხვა. ...სამსახურებში აქ ხუთ თუმან-... ნაკლებს არავინ იღებს. ...საკვირველია, ამისთანა სა-...ახურს მცირე მცოდნის მქო-...ლები ჯერდებიან და ვისაც ...რამე სწავლა აქვს მიღებული, ...უფრო მეტ ჯამაგირში „უპრა-...ენიაში“.

...აქ რკინის გზაში სამსახურის ...ვნას გამოციმბირებულისთვის ...რდა მატერიალური სარგებლო-...სა, ის სარგებლობაც მოაქვს, ...ომ სასჯელის ვადას უმცირებს-...ქვსი თვე, რომ ემსახუროს ამით ...ით წელს აქვითებს სასჯელისას.

...აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ...იგიერთი ქართველი, როგორც ...მოსალოდნელია, ღარიბად ...ცხოვრობს. ესენი დიდიხნის გა-...იგზავნილი ქართველებია, რომ-...ებიც აქ დასახლებულან — და-...ოლშვილებულან. მაგ. ერთი ქარ-...ველი ...მ — შვილი აგერ ოცდა-...ი წელიწადია რაც ქ. ტომსკში ...ცხოვრობს; აქ შეურთამს ცოლი ...ა ქალებიც შესძენია. ეს ძალზეა ...აბერებული, ძალიან ტკბილი მო-...უბრე კაცია; ქართული არ და-...ვიწყებია. შვილებმა კი არ იცი-... ქართული. ეს პირი სიბერის ...ამო ქალიშვილების შრომით ცხო-...რობს და არც გასაკვირველია, ...ომ ღარიბად ცხოვრობდეს. მე-...რე ალ — შვილი თორმეტი წლით ...ფილა გამოგზავნილი; ამას დი-...ი ხანია ვადა გაუთავებია, თუმ ...ა ძალიან უნდა სამშობლოში ...მოსვლა, მაგრამ შეუძლებლობის ...ამო ვერ მოუხერხებია. ამასაც ...ყავს შვილები. ალ — შვილი თუმ-...ა ადგილზე დგას — ღამის ყარაუ-...ია ქ. ტომსკში, მაგრამ თორმე ...ი მანეთი აქვს ჯამაგირი და იმ-...ენი ვერ მოუნარჩუნებია გზის ...ირად ეყოს.

(დასასრული იქნება)

მ. ლიხელი

## სასამართლოს მატიანე

ორი საინტერესო საქმე მარიამ ჩაჩავასა. 19 იანვარს ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაირჩა ორი მეტად საინტერესო საქმე დ. ოჩამჩირის მცხოვრებ ქალის მილიციის პროპორჩიკის ცოლის მარიამ ჩაჩავასი, რომელსაც ბრალდებოდა ოფიციალურ ქაღალდით ცილის დაწამება ერთი მხრით ტყის მწარმოებელს სპირიდონ ნასაკიძეზე, მეორე მხრით ადგილობრივ ვაჭარს ფარნა დავითაიაზე. ამ ორი საქმის გარემოება მოკლედ შემდეგია: 1898 წლის 24 იანვარს მარიამ ჩაჩავამ ოფიციალურ ქაღალდით უჩივლა ეპისკოპოსთან: სპირიდონ ნარაკიძე და ფარნა დავითაია შეურაცყოფას მაყენებენ, ეს პირნი არ არიან კეთილ საიმედონი, მათ თავი ნამდვილ ქართველებად წარმოუდგენიათ, რომლებიც თითქო მოწოდებულნი არიან განანათლონ ყველანი კანონის წინაღმდეგი საშვალებით, ეს პირნი ეწინააღმდეგებიან ყოველ კეთილ განზრახვასაო და სხ. მათ ამხანაგობას უწევს ადგილობრივი მღვდელი კერესელიძეო. როცა მე 1897 წლის შემოდგომაზე ბათომში წაველი ფარნა დავითაიამ უთხრა მ. კერესელიძეს: მამაო, ჩაჩავას ქალი წავიდა, მისგან წაბილწული ზღვის პირი უნდა მოაკურთხოთ. იმავე 1397 წელს 17 თებერვალს მ. ჩაჩავამ ოფიციალურ ქაღალდით განუცხადა სასულიერო გამომძიებელს მღ. ისტრებოვს: მღ. კერესელიძის უყურადღებობის გამო არავის სახლში ხატები არ აქვს, კისერზე ჯვარი არ ჰკიდიათ, მ. კერესელიძე ეპისკოპოსის განკარგულებას არ ასრულებს და ეკლესიაში რუსულად არ ასრულებს წირვასაო და სხ. ეს მღვდელი დაუახლოვდა არა კეთილ საიმედო პირთ დავითაიას და ნარაკიძეს და როცა ამ უკანასკნელმა ეკლესია შეურაცხყო შიგ გაფურთხებით, კერესელიძემ საქმე დაანელა გამომძიებლის წერეთლისა და ჟანდარმთა პოლკოვნიკის ქოჩსაშვილის დახმარებითო. ამ საჩივრების გამო მოხდა გამოძიება და დამტკიცდა, რომ ჩაჩავას ბრალდება აშკარად „გაზვიადებული“ იყო, ასე რომ ნარაკიძას წინააღმდეგ სასამართლოში აღძრული საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლომ მოსპო, ხოლო კერესელიძემ აღმატებაც-კი მიიღო.

ამის შემდეგ ნარაკიძემ და დავითაიამ უჩივლეს ჩაჩავას ქალს ოფიციალურ ქაღალდით მათი უსაფუძვლოდ ცილის დაწამების გამო. საჩივრის ქაღალდთან ერთად მათ წარუდგინეს სასამართლოს მ. კერესელიძისაგან ჩვენების ჩამორთმევის ოქმი, რომლიდანაც სჩანს, რომ კოდორის ნაწილის უფროსმა ჩეჩელევმა მოსთხოვა მ. კერესელიძეს, უთუოდ საქმე აღძარი ნარაკიძის წინააღმდეგ მისგან ეკლესიის შეურაცხყოფის თაობაზეო, და როცა მ. კერესელიძე ამაზე არ დაყაბულდა, ჩეჩელევმა უთხრა მას: „თქვენ ქართველი ხართ და საქმის ჩაფუჩეჩება გნებავთ; ვნახოთ, ვინ ვის დააჯდება თავზე: ქართველი რუსს, თუ რუსი ქართველს“.

ოლქის სასამართლომ მარ. ჩაჩავა დამნაშავედ სცნო ცილის წამებაში და მიუსაჯა მას 7 დღით დატუსაღება. („ნ. ობოზ.“).

## სასარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯანმრთელობა *)

კბ. ხელმწიფისათვის და ყმათა მისთა. ჰ შენ, რომელიცა უყვარხარ ცასა და რომლისა წინაშე ძენი კაცთანი თანასწორ არიან, განაწესე თვითმპყრობელობისა ხელმწიფებაჲ და ჰყავ სასარგებლოდ შენდა; გასინჯე სიმძიმე თანამდებობისა შენისა და დიდებულება მდგომარეობისა შენისა. შემოსილხარ შენ პორფირითა, ზიხარ ტახტსა ზედა, დიდებულება ჰფარავს დაწვთა შენთა სკიპტრა გიპყრია ხელთა შინა შენთა, გარნა შემკულება ესე, მოცემული შენდა, არა შენთვის ოდენ არს, არამედ გრწმუნებია იგინი საერთო სარგებლობისათვის ერისა.

დიდება ხელმწიფისა არს ბედნიერება ერისა, გონიერება ხელმწიფისა აღიწევის უმაღლეს მდგომარეობასა მისისა: იგი ჰფიქრობს დღეთათვის საქმეთა, გულს-მოდგინებით ეძებს შემძლებლობისა თვისსა ღირსთა საქმეთა შინა. იგი შემოჰკრებს გონიერთა კაცთა, ითხოვს მათგან ერთგულობითსა რჩევასა და მოისმენს აზრთა მათთა.

ხელმწიფე სცდილობს ერისა თვისის ჩვეულობათა და წადილთა, განიხილავს ვითარებასა მათსა და განაწესებს რიგისამებრ. მსაჯულნი, გამორჩეულნი მისგან, დაიცვენ სიმართლესა, და იგი არა უტევებს თვისსა საყვარელთა თვისთა კაცთაგან. სწრაფობს შემოღებასა ხელოვნებისა და ხელოსანთა განმრავლებასა სცდილობს. მის მიერ სწავლანი განვრცელდებიან და მოვლენ უკეთესსა მდგომარეობასა. ხელსა მისსა ქვეშე ყოფა საამო არს. გონიერთა კაცთა და გამოცდილთა იახლოვებს იგი, ულვიძებს მათ უპატიოსნესთა წადილთა და ამის გამო პატივი სახელმწიფოისა მისისა განმრავლდების შრომათა მათითა.

მისის წყალობით პატივცემულ არიან ყოველნი, და მისის განძლიერებულ მოვარველობით გონიერება ვაჭართა ავრცელებს სავაჭროთა, უკეთესდება მდგომარეობა ქვეყნის მოქმედთა, ხელოვნება ხელოსანთა, წარმატება მეცნიერთა წინ იწევს.

იგი ჰყოფს ახალსა მოსახლეობასა და აღსჭურავს ხომალდთა, მდინარეთა ზედა და ჰყოფს ნავთსაყუდელთა უშიშროებისათვის, ერი მისი უხვ იქმნების სიმდიდრითა სახელმწიფო მისი მოიწევს ძლიერებასა შინა დღითი-დღე. სიბრძნე და სიმართლე განაწესებენ ბრძანებასა მისსა, ყმანი მისნი დატკბებიან განსვენებასა შინა ნაყოფითა ნაშრომთა თვისთა, და ბედნიერობა მათი არს დაცვისაგან სჯულისა.

განწესებულებანი მისნი დამყარებულ არიან შეწყალებლობასა, გარნა შეურყეველად და პირუთვნელად სტანჯავს იგი ბოროტთა და ავთა კაცთა.

ყური მისი მარადის განხმულ არს მოსასმენად თვისთა ერმათა საჩივრებისა. იგი აღადგმს გაჭირვებულთა და გამოიხსნის შეჭირვებულთა მტანჯველთაგან.

ერი მისი არს სავსე სიყვარულითა და პატივისცემითა მისითა. პატივს სცემენ მას ყოველნი ვითარცა მამასა და სჭვრეტენ ვითარცა მცველსა მათისა ნეტარებისა. სიყვარული ერისა მეფისადმი ულვიძებს მეფესაცა სიყვარულსა ერისადმი და თანასწორსა წყალობასა არა დააცადებს იგი მოფენად ერსა თვისსა ზედა. არა არს მეფისა შორის დრტვინვა. მტერი ვერ მისცემს შიშსა სახელმწიფოსა მისსა. ყმანი, ერთგულნი და მონადენი მისნი, მზა არიან შეწევნად მისა მარადის, და უფროს რვალისა და ქვისა საიმედო არიან მკერდნი მოყმეთა მისთა წინააღმდეგ მტერთა. ქართა მტერთა ივლტის მათგან მსგავსად მტვრისა, განბნეულისა ქართაგან. მშვიდობა და უშიშოება მისცემენ კურთხევასა ღრთისა მისსა. დიდება და ძალი შემოსავრვენ საუკუნოდ ტახტსა მისსა.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 733.

## ამორჩეული აზრები

უკეთესია შხამიან გველთან ცხოვრობდე, ვიდრე ანჩხლ ცოლთან.

—

ადამიანის ცხოვრებას ფული კი არ ამშვენიერებს, არამედ ხელოვნური გემოვნება, კულტურა, ჭეშმარიტი შეხედულობა საგანზე და მოსიყვარულე გული; როდესაც ადამიანი დაჯილდოვებულია ყოველივე ამ თვისებით, მაშინ ის ბედნიერია.

—

ადამიანს რომ ცხოვრებაში წინ გაჭირვება არ ეღობებოდეს, შეიძლება მისი არსებობა უკეთესი იყოს, მაგრამ თვითონ კი უხეირო იქნება.

—

გავლენა და მაგალითი საუკეთესო, თუმცა უტყვი აღმზრდელია ადამიანის ზნეობისა.

—

შრომას შეუძლიან შესძინოს ადამიანს ყოველივე ქვეყნის მშვენიერება.

—

ყოველივე მაღალი თვისება ადამიანში, შედეგია შრომისა.

## ყურმოკრული საუბარი

—

— ბიჭო, ეს როგორი კატლეტები მომიტანე? შიგ პური უფრო ბევრია ხორცზე!

— ჩვენმა ახალმა მზარეულმა ახალ ჯურის კატლეტების მომზადება შემოიღო.

— როგორ თუ ახალი ჯურის?

— ისე, რომ მაგ კატლეტების ჭამა უპუროდ შეიძლება.

—

— ქალბატონო, თქვენ შავებში რათა ბრძანდებით, დაჰკარგეთ ვინმე?

— არა, მე სრულებითაც არავინ დამიკარგავს, მე მხოლოდ დავქვრივდი.

—

— დამნაშავევ, ეს როგორ მოხდა, რომ თქვენ მხოლოდ საათი მოიპარეთ, მაშინ როდესაც სტოლზე მაგ საათის გვერდით ორასი თუმნით ქისა იდვა?

— მართლა?

— დიახ.

— ოო, მაგ შეცდომას ჩემს თავს არასოდეს არ ვაპატიებ!

## გასართობი

—

მსაჯულთა უსამართლობა. ერთხელ დიოგენი შეესწრო, რომ მსაჯულებმა ერთს კაცს, რომელსაც პატარა წყლის ჭურჭელი მოეპარა, სიკვდილით დასჯა გადუწყვიტეს და თვითონაც თან გაჰყვნენ განჩინების აღსრულების მოწმობის დასასწრებლად. ამ დროს დაინახა დიოგენმა და უთხრა: დიდ ქურდებს პატარა ქურდი სახრჩობელაზე მიჰყავთო.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

23 იანვარი

**ბერლინი.** ბრანდენბურგის საპროვინციო საიმის სადილზე პასუხი მისცა ობერპრეზიდენტს აშენბახს, რომელმაც ილაპარაკა ჰოგენცოლერნთ სახლის გმირულ საქმეებზე, დასთქვა: „ჰოგენცოლერნთ თავიდანვე შეგნებული ჰქონდათ, რომ ისინი ღვთის წინ პასუხის-მგებელნი იყვნენო. გარდა ამისა, ყველა ჰოგენცოლერნებს ჩანერგილი ჰქონდათ ხალხის წინ პასუხ-მგებლობის გრძნობაო. იმპერატორმა შემდეგ გაიხსენა თავის მგზავრობა აღმოსავლეთში და სთქვა, როცა ზეთის ხილის მთაზე ვიდექი, მე გავიმეორე დროშის წინაშე ჩემ მიერ მიცემული ფიცი, შეძლებისამებრ სამსახური გავუწიო ხალხსაო. მერე იმპერატორმა მოიყვანა მოლტკეს სიტყვები, რომლებიც ბისმარკს უთხრა: „ახლა ხის ზრდას უნდა ვადევნოთ თვალიო.“ იმპერატორმა შენიშნა, მე მსურს კარგი მებაღე ვიყო გერმანიის იმპერიის ხისათვის, მოვჭრა ამ ხეს ტოტები, რომლებიც მას ზრდას უშლიან, და აგრეთვე მავნებელი ფესვებიო. დასასრულ იმპერატორმა მოიხსენა მშვიდობიანობის დაცვის საზოგადო სურვილი. გერმანია უნდა მტკიცედ შეერთდეს მშვიდობიანობის დაარღვევის წინააღმდეგო, უნდა დავიცვათ გარეშე და შინაური მშვიდობიანობაო. ამ მხრივ დახმარება უნდა გაგვიწიონ უმთავრესად ბრანდენბურგის მარკის მცხოვრებლებმაო“. თავისი სიტყვა იპერატორმა დააბოლოვა „hoch-ის“ წარმოთქმით მარკისა და მცხოვრებთა პატივ საცემად.

**ბერლინი.** თავის სიტყვაში იმპერატორი, შეეხო რა „გერმანიის იმპერიის ხეს“, სთქვა, ამ ჟამად მე შემიძლია მხოლოდ ხელმეორედ დავიფიცო, რომ ვიქმ ყველაფერს, რაც კი შემეძლებაო. წმიდა ადგილებში მოგზაურმა—დასძინა იმპერატორმა—მომეხმარება დავიცვა ეს ხეო, მოვაყარო მას, როგორც კარგ მებაღეს შეეფერება, მოვჭრა ზედ-მეტი ტოტები და გავანადგურო ფესვებისათვის მავნებელი ცხოველებიო. მაშინ მე იმედი მაქვს, დავინახო როდისმე, რომ მას ხე დიდებულად გაიზრდება და რომ მას დარაჯად დაუდგება გერმანიის მიხელი რომელიც დაყრდნობია მახვილის ტარს და შორს გაიცქირებაო. ეჭვს გარეშეა, რომ გერმანიის მიხელი თვისი ფარით იცავს მშვიდობიანობას. ყველა ხალხისათვის მშვიდობიანობის მინიჭება საუცხოვო განზრახვაა, მაგრამ, რაც უნდა იმედი ვიქონიოთ, შეცდომას ვერ ავიშორებთ. სანამ კაცობრიობაში შეუსყიდველი ცოდვა მეფობს, სანამ ომი სთესს მტრობა-მძულვარებას, სანამ ადამიანი ცდილობს გაიმარჯვოს სხვებზე, მანამ ის, რაც ცალ-ცალკე ადამიანთა შორის ხდება,—მოხდება ხალხთა შორის, ამიტომ ვეცადოთ, რომ ჩვენ, გერმანელები მაინც შევერთდეთ ერთ ძალად, როგორც შეურყეველი კლდე,—დეე შეასკდეს ამ კლდეს ყოველი ტალღა, რომელიც ხელს უშლის მშვიდობიანობას შორს, ზღვეებს გადაღმა, და ჩვენში, ევროპაშიო.

**სტამბოლი.** ის იარაღი, რომელიც იმპერატორმა ვილჰელმმა აჩუქა სულთანს, არა ჰგავს გერმანულ სასროლ იარაღებს, არამედ წარმოადგენს სხვა გვარ მშვენიერ სწრაფ-სასროლ იარაღს.

**მოსკოვი.** დღეს გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ გადასდო 5 ათასი მან. მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**პეტერბურგი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ მოსლემანებს წელსაც აეკრძალათ სალოცავად სიარული.


# განცხადებანი

## დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

# სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატი[ით]

რომელიც ორ ნაწილად არის შემდგარი

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო ს[კო]ლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლმადიდებლო სემი[ნა]რიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყ[იფ]შიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალ[ი]—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზ[ია].

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი [I.] აღწერანი მარტივნი და მხატვრობითნი.—მგზავრის წერილები.—მო[თხ]რობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობით[ი] თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრ-მეტყველებ საპოლიტი[კო], სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი [და] მოთხრობა.—იდილიები, იგავი-არაკნი და ბალადები.—სალირი[კო] პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დ[ა]რილნი საერო კილოზე, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ე[პი]ტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელ განყოფილებაში მოთავსებულ[ია] სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და კრებული ნი[მუ]შებისა (ქრის-ტომატია) ორ-ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტან[ის] და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20^1/_2$ თაბახს და ჰღირს ერ[თ] **მანათი**.

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზ[ე] ნაკლებ არ იყიდის, $20\%$ დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი.

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ. ფასი სამი შაური. (10—7)

გამოვიდა მეორე წიგნი

## რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის

ივანე როსტომაშვილის რედაქციით.

ფასი მთელის გამოცემისა (12 წიგნისა, დიდის ზომისა, თითო 200 გვერდამდე, წვრილის ასოებით დაბეჭდილი)—მარტო **12 მან.**, რომელიც ხელის-მომწერთ შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ: პირველად ორი მანეთი (გაეგზავნებათ ორი წიგნი), ხოლო დანარჩენი ათი მანეთი ისევ ორ-ორ მანეთობით ახალის წიგნების მიღების შემდეგ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რუსულს ენაზე ასეთი ლექსიკონები ღირს ხუთი და ათი თუმნები და ვერც ჩვენს მკითხველს აკმაყოფილებენ სავსებით, რადგანაც მათში თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება ჩვენის ქვეყნის შესახებ,— ყველა დაგვეთანხმება, რომ მოხსენებული ფასი ჩვენის ლექსიკონისა სულ მცირეა და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწვდომი. მესამე წიგნი ას[ო] **ვინ**-ზე გამოვა მარტის გასულს. თფილისში ხელის-მოწერა მიიღება ავტორთან, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და ბ. ხიდდეკელის წიგნების მაღაზიებში, ხოლო ქალაქ გარეშე ხელის-მომწერლებმა ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ: въ Тифлисъ, Давид. площ. № 6, Ивану Павловичу Ростомову.

(8—8)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Января 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნ[იავა]